ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №885850

ნომერი: AR1156048

თარიღი : 19.08.2013

გაცემის თარიღი : 09.09.2013

გაცნობის თარიღი : 09.09.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიაჩელი , N 21 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირინე გაგოშიძე პ/ნ 01024016669
- თბილისი პეკინის გამზ. N 31"ბ" ბ. 28

ორგანიზაცია:

- შპს "ინფინიტი" კოდი: 205085496

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ-არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 მარტის #01/632 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ-არქიტექტურის სამსახურს 19.08.2013 წ. #AR1156048 განცხადებით მომართა არქიტექტურული პროექტის ერთერთმა ავტორმა ირინე გაგოშიძემ და მოითხოვა სამსახურის 16.03.2012 წ. #01/632 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი გეგმების დამატება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ–არქიტექტურის სამსახურის 16.03.2012 წ. #01/632 ბრძანებით ქ. თბილისში, ქიაჩელის ქ. #21-ში მდებარე შპს „ინფინიტი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა საშუალო ინტენსივობის მრვალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლოს ნებართვა. სამსახურის მიერ საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა რომ, დამკვეთის მიერ იქნა დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: გეგმებზე არ არის დატანილი ფართობების აღმნიშვნელი ნიშნები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში შეიტანოს ცვლილება ან დამატება.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან არ იცვლება საპროექტო დოკუმენტაციის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ–არქიტექტურის სამსახურის მიერ 16.03.2012 წ. #01/632 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას დაემატოს წარმოდგენილი გეგმები;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ–არქიტექტურის სამსახურის 16.03.2012 წ. #01/632 ბრძანებასთან ერთად;
3. აღნიშნულის თაობაზე ეცნობოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. N7) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.